საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

№ 305 1918 წ. ოთხშაბათი, აგვისტოს 14. № 305

# სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

ლეხუმის მეამბოხეებს რესპუბლ[illegible] [illegible] ამარცხებს და უკან ახევინებს. მთავრობამ [illegible]დან ფოთს ჩამოიტანა საქ· რესპ. საუფთი მარილი: 140 ათასი ფუთ.ი.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე“

**ღირს:** თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

გულდათუთქული მშობლები ქრისტინე და მაქსიმე (პახვალა) ძმები: ელიზბარი და ტარასი მასხულიები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ რომ აგვისტოს 15-ს, ხუთშაბათს აბაშაში ს. კვათანის ეკლესიის სასაფლაოზე, დანიშნულია ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დალუპულ პრაპორშჩიკის

კონსტანტინე (პუკუ) მასხულიას

სულის მოსახსენებლად, რომელიც ს. ხოსტაში (სოხუმის ოლქი) ბოლშევიკთა ბრბოს მიერ გულ განმირული მამაცურად დაეცა. 853

ბათომის პარტიზანული პოლკი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ აგვისტოს 9-ს, ტრაღიკულად დაიღუპა პარტიზანი

ი ვ ა ნ ე

ნ ი კ ო ლ ა ძ ე

854

დემოკრატიული კლუბი მუშტაიდი

ოთხშაბათს და ხუთშაბათს, აგვისტოს 14 და 15-ს გაიმართება

2 დიდი კონცერტი

გერმანელთა ეგრების მე-7 ბატალიონის სამხედრო ორკესტრისა

კაპელმეისტერის ტრებერტის ხელმძღვანელობით.

პროგრამაში შედის ვაგნერის, შოპენის, მოცარტის, მეერბერის, შტრაუსის, ცელერის, ლეგარის, ლინკეს და სხვა ნაწარმოებნი.

**კონცერტის დასაწყისი საღამოს 8 ს.** 856 **დახურულ თეატრში.**

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა



მიხეილის პრ., მუშტ., ახლო, საკუთ., ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 18—60.

1918 წ. დღეს, აგვისტოს 14-ს და ხუთშაბათს 15 გაიმართება

გრანდიოზული წარმოდგენა

რომელსაც ჰქვიან „ნონ-პლიუს-ულტრა“.. მონაწილეობს მთელი დასი. დღეს გამოსვლა იაპონელთა იოცუხუნას დასისა, ხლასტუშინსკისა, ვუდისა, მაისა და სხვ.

**ანონსი:** შაბათს, აგვისტოს 17-ს დიდი ბენეფისი იაპონელთა დასისა.

858 მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი

## ტფილისი, აგვისტოს 14

**თეთრი ტერორი**

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი ორ კრებაზე გაცხარებით მსჯელობს თეთრი ტერორის გარშემო. გულის ამღვრევი ინსტიტუტი, სამართლის გარეშე, ღვარძლიან გულით ადამიანის სიცოცხლის მოსპობა—ცნობილი ნაშთია საზიზღარი ძველი წყობილებისა. აი დღეს სწორედ ამ საძაგელ მოვლენას მიაქცია ყურადღება საქართველოს პარლამენტმა.

ჩვენ ძალიან კარგად ვიცით: პოლიტიკური გადახალისება ხალხისა და სახელმწიფოსი ჯერ კიდევ არ განხორციელებულა საზოგადოების წრეების სრულის გადახალისებით. რამდენი დარჩა ჩვენში სულით ჟანდარმი, გაიძვერა, პოლიციის ჩვეულებებში აღზრდილი ადამიანი, რომელიც გარეგნულად მიეკედლა ახალ წყობილებას ხოლო ყოველ მოქმედებაში ამჟღავნებს მონობის ტიპიურ ნაშთებს. უპატივისმცემლობა პიროვნების, დატუსაღება თვით პარლამენტის წევრების, დაცინვა, სარკაზმი, თეთრი ტერორი—იმ ღვარძლიან ადამიანების შემოქმედებაა, რომელნიც ბიუროკრატიულმა სკოლამ აღზარდა, რომელნიც დღეს სამარცხვინო პირობებში აყენებენ ნორჩს რესპუბლიკას.

ორი აზრი შეუძლებელია იყოს ამ მოვლენაზე. რესპუბლიკის მთავრობამ თეთრი ტერორის ვაკხანალია ისევე შეუბრალებლად უნდა აღაგმოს, როგორც აღაგმულია ძველი წყობილება. შემცდარია ის მოაზრე, რომელიც ძველი წყობილების ქონებრივ სტრუქტურის დანგრევაში ხედავს ახალ წყობილების აგებას. საჭიროა ფსიქიკაში, შემეცნებაში, მთელს იდეოლოგიაში შევიტანოთ ახალ ჩვეულებათა და შემეცნებათა სხივი, თუ გვინდა ახალ მატერიალურ სტრუქტურაზე აღმოცენდეს ახალი პოლიტიკური და სოციალური შენობები.

ჩვენ დარწმუნებული ვართ საქართველოს პარლამენტის წინაშე პასუხის მგებელი მთავრობა თეთრ ტერორის არსებობას აღიარებს როგორც სამწუხარო შემთხვევას და მიზნად დაისახავს მის სრულს ლიკვიდაციას. არსებითად ამ მხრივ ნაბიჯები უკვე გადადგმულია. თუ მაინცა და მაინც საჭიროა სიკვდილით დასჯის პოლიტიკა, ეს შეიძლება სამართალის საშუალებით, გამოძიებით, მოქალაქობრივ უფლებების დაცვით რაკი ინსტიტუტი არის, უნდა იყოს მისი ობიექტიც და თუ ეს ობიექტი გახდა გაიძვერათა და უპასუხისმგებლო ადამიანების სავარჯიშო — მაშინ თვით იუსტიციის სამინისტრო ჰაერში გამოეკიდება, სასამართლოს დაეკარგება ყოველი ღირსება, ქვეყანაში თვითგასამართლების ინსტიქტი გაძლიერდება და ამნაირად ერთ მშვენიერ დღეს თვით გასამართლების მსხვერპლი შეიქნება მთელი სახელმწიფოც.

რესპუბლიკას არ შეუძლიან ნორმატიულ საფუძვლების დავიწყება, მოქალაქეს არ შეუძლია სული მოითქვას თეთრი ტერორის ფარგალში, ყოველივე ეს საფუძველია, პრინციპია სახელმწიფოებრივი შემოქმედებისა და ჩვენ მოვითხოვთ, რომ ეს პრინციპი ჯიჯგნის, დაცინვის და გამასხარავების საგანი არ გახდეს ნაძირალების მიერ.

## ქართული პრესა

„ერთობა“ ეხება რუსეთის ორიენტაციას და შემდეგს ამბობს:

საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ რომ ბევრი კერძო პირი და ჯგუფია ამხედრებული, ეს ბუნებრივი მოვლენაა, რადგან ჩვენი დამოუკიდებლობა აღნიშნულ პირებს და ჯგუფებს ყოველგვარ უპ რატესობას უსპობს მაგრამ უკმაყოფილოთა წრეში, ჩვენ ვხედავთ ბევრს დამსახურებულ პარტიულ მოღვაწეს და მათი არგუმენტაციაც ისეთია, რომ შესაძლოა ბევრ გულუბრყვილოს გზა-კვალი აებნას. ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილ კუთხეებში, ბოლშევიკების მეთაურობით აჯანყებებიც კი ხდება და დღეს არავისთვის არ არის დაფარული ის, რომ ბრძოლის ლოზუნგად რუსეთთან შეერთებაა წამოყენებული. კითხვა თავისთავად სერიოზულია და მის გადასაჭრელად აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რას წარმოადგენს დღეს თითონ რუსეთი.

ჩვენ ვიცით, რომ რუსეთი დღეს დანგრეულია: წარმოება დაეცა, ქარხნები დაკეტილია, რკინის გზა განადგურებულია, მიმოსვლა დარღვეულია.

მაგრამ მოწინააღმდეგეს ყოველთვის შეუძლია გვითხრას, რომ ჩვენი ცნობები ცალმხრივი და სუბიექტიურია, რომ ჩვენ გველაპარაკებს ბოლშევიკების სიძულვილი და ვხელმძღვანელობთ არა ბოლშევიკთა პრესით და ჩვენებით.

ამიტომ ჩვენ გვსურს დავემყაროთ თვით ბოლშევიკების ოფიციალურ წარმომადგენლებს და მათ ჩვენებას.

ასეთია მოხსენება რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრისა, რომელიც ჩვენ გაზეთში იბეჭდება.

ამ მოხსენებაში საგარეო საქმეთა კომისარი აღიარებს, რომ გერმანიამ არ შეასრულა ბრესტის ხელშეკრულობა, რომ საბჭოთა მთავრობამ თვითონ აამხედრა რუსეთის წინააღმდეგ მოკავშირეები მაგალითად, სესხების გაუქმებით. შემდეგ გაზეთს მოჰყავს, სხვათა შორის მუხლები ბრესტის ხელშეკრულებისა:

ჩვენს ვალდებულებათა ასასრულებლად ცენტრალურ სახელმწიფოთა წინაშე, თანახმად ბრესტის საზავო ხელშეკრულობისა, ჩვენ იძულებული ვართ ავიღოთ სესხი. საერთო ჯამი ამ ჩვენ ვალდებულებათა იქ ევა სახელმწიფოებრივ ვალად. ამ ვალის პროცენტების გადახდა უნდა მოვახდინოთ ნაწილობრივ ჩვენი სასაფლო და სატყეო მეურნეობის ნაწარმოებებით და ნაწილობრივ ოქროთი „.. ჩვენ ვფიქრობთ მივცეთ მათ კონცესიები რუსულ ბუნებრივ სიმდიდრეთა საექსპლოატაციოთ

„კონცესიები შეიძლება ვრცელდებოდეს: ა) ნავთეულების დამუშავებაზე; ბ) რკინ ს ზათა გაყვანაზე; ვ) განსაზღვრულ მიწების დამუშავებასა და უტილიზაციაზე, ამ მიზნით შემოღებულ იქნას გაუმჯობესებული სასოფლო მეურნეობა, საიდანაც ნაწილს წარმოების პროდუქტებისას იღებს გერმანეთი“.

მოხსენების სხვა ადგილებს ჩვენ არ შევეხებით, რადგან ამოწერილი ადგილებიც საკმაო ნათელ სურათს იძლევა იმისას, თუ რას წარმოადგენს დღეს რუსეთი: ეს არის გერმანიის ახალშენი.

იმ პირობებში, რომელშიაც დღეს ჩაყენებულია რუსეთი, რასაკვირველია, სხვა გამოსავალი მას არა აქვს და გერმანიის ძლიერ ოჯკის ხელი მისთვის საჭიროც არის და სასარგებლოც. მაგრამ ჩვენი მტერ-მოყვრები რომ ცდილობენ გერმანიის მოხარკე რუსეთის მონათ გადაგვაქციონ, ეს ჩვენ არ გვესმის და ვფიქრობთ, რომ პოლიტიკური სიბრმავე ამაზე შორს აღარ წავა.

ჭეშმარიტად მართალი იყო ს.-დ. ორატორი, როცა მან ერთხელ სეიმში განაცხადა: რუსეთის ორიენტაცია დღეს რეაქციონური ორიენტაცია არისო.

და სიამოვნებით უნდა ვაღიაროთ, რომ ამ რეაქციონურ ორიენტაციას დღეს საქართველოს დიდი და შეგნებული ნაწილი არ იზიარებს.

## ცხოვრების ზედაპირზე

ბევრი რამ, რასაც ჩვენი მთავრობა აკეთებს, სრულიად გაუგებარი ჰხდება ზოგიერთს წრეებში: მე არაფერს ვიტყვით ისეთებზე, რომელთაც იმდენი სახელმწიფოებრივი გამოცდილება აქვთ, რომ არ შეიძლება არა ჰხედავდნენ მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯების აუცილებლობას. ისინი ამას ძალიან კარგად ჰხედავენ, იციან, რომ ეს ზომები ღრმად სახელმწიფოებრივი ხასიათისა, იციან, რომ ამნაირი ზომებით ჩვენი სახელმწიფოებრიობა მტკიცდება, მაგრამ მაინც ილაშქრებენ ამ ზომების წინააღმდეგ და ილაშქრებენ სწორედ იმიტომ, რომ წინააღმდეგნი არიან ჩვენი სახელმწიფოებრიობისა, მოსურნენი არიან საქართველოს დამოუკიდებლობის დასამარებისა ყველაფერი, რაც ჩვენს სახელმწიფოებრიობას ამტკიცებს, მათში წინააღმდეგობას იწვევს; ყოველი მერყევი და ნებაყოფლობის მოკლებული ნაბიჯი ჩვენი მთავრობისა კი კომპლიმენტებს იწვევს. ამისთანა ხალხის შესახებ ჩვენ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ისინი საქართველოს მტრები არიან და მტრებთან კი ბრძოლაა საჭირო და არა სენტიმენტალური ბაასის გამართვა ამა თუ იმ ზომის ავკარგიანობის შესახებ.

მაგრამ არის ისეთი კათეგორია მცხოვრებლებისა, რომელთაც ჩვენ საქართველოს შეგნებულ მტრებად ვერ ჩავსთვლით, მაგრამ რომელნიც მაინც მიმდინარე მომენტის ისეთს გაუგებრობას იჩენენ, რომ სამართლიან გულისწყრომას იწვევენ საქართველოს დამოუკიდებლობის დამცველთა შორის. მთავარი დამახასიათებელი თვისება ასეთი კათეგორიის ხალხისა ის არის, რომ მათი აზროვნება, რუსული სიტყვა რომ ვიხმაროთ, „ობივატელურია“ და არა პოლიტიკური. ამნაირი ხალხის განწყობილებას საუკეთესოდ, გამოჰხატავს ჟურნალისტი ლევან ყიფიანი. იყო დრო, როდესაც ყოველი წერილი ამ ჟურნალისტისა ჩემში საშინელ აღშფოთებას იწვევდა. მასში მე პირადად ვხედავდი წინასწარ განზრახულ სურვილს საქართველოს გათახსირებისას. მაგრამ, როდესაც, ერთი წლის ერთად მუშაობის დროს ფრონტზე, ახლო გავეცანი, დავრწმუნდი, რომ ბ-ნი ლევან ყიფიანის სამწერლო მოღვაწეობის სუსტი მხარე, სულ სხვაგან არის დაფარული. ბ-ნი ლევან ყიფიანი, როგორც საუკეთესო გამომხატველი „ობივატელური“ სულიერი განწყობილებისა, ყოველთვის მოვლენათა ზედაპირზე დასცურავს, აკლია უნარი იმავე მოვლენათა ღრმა ანალიზისა და პოლიტიკურად განცდისა. იგი ჰხატავს და აფასებს მოვლენას თავის თავად, ისე, როგორც იგი გვევლინება და ერთხელაც არ გასჯილა მოვლენისთვის ფესვები გაესინჯა. ამიტომ მისი დამოკიდებულობა მოვლენისადმი ყოველთვის ცალმხრივი და ტენდენციური გამოდიოდა და გამოდის ხოლმე. ასე ემართება ეხლაც. ავიღოთ მაგალითები.

საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა ბევრგან შტატები შეემცირებინა და ზოგიერთი დაწესებულების კი სრული ლიკვიდაცია მოეხდინა. რასაკვირველია ბევრი უადგილოდ დარჩა. ვინ იქნებოდა ისეთი გულუბრყვილო, ეფიქრა, რომ ასეთი შტატს გარეშენი ნაზის გრძნობით იქნებოდნენ აღტყინებული საქართველოს მიმართ? რასაკვირველია არავინ. და აი, ლევან ყიფიანსაც, რომელსაც ალბად ჰხვდება ასეთი აღშფოთებული ადამიანი, საყვედურს უთვლის მთავრობას კაცის-ჭამიობას და ნაციონალისტურ პოლიტიკას სწამებს. ბ-ნი ლევან ყიფიანის ლოღიკური სილლოგიზმი ასეთია: ლიკვიდაცია უკმაყოფილებას იწვევს, უკმაყოფილება ცუდია ჩვენთვის რადგანაც რაც უფრო მეტი მტერი ეყოლება საქართველოს, მით უარესი მისთვის ამ დებულებიდან დასკვნაც ლოღიკური უნდა გამოვიყვანოთ. თუ არ გვინდა მტრები გავიჩინოთ, ლიკვიდაცია არ უნდა მოვახდინოთ, მაგრამ ამნაირი ლოღიკური დასკვნის გამოტანამდე, შეეკითხა თუ არა ბ-ნი ლევან ყიფიანი თავის თავს, რად დაუჯდება ქართველ ხალხს ეს სენტიმენტალობა? ქართველი ხალხის ბრალი ხომ არ არის, რომ „ამხანაგებმა“, რომელთა შესახებ არა ერთი და ორი კარგი წერილი დაუწერია თვით ბ-ნ ლევან ყიფიანს ისეთი მდგომარეობა შეჰქმნეს, რომ რუსეთიც დაანგრიეს და საქართველოც უფსკრულის კარამდე მიიყვანეს? და დღეს, როდესაც ისტორიული ჩარხის ტრიალის გამო საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა, ნუ თუ ქართველმა ხალხმა და მისმა გაქეცულმა ხაზინამ უნდა ზიდოს ის მილიონი ხარჯები, რომლებიც მთელი კავკასიის დაწესებულებათათვის იყო შექმნილი? არ მგონია ბ-ნი ლევან ყიფიანი მოსურნე იყოს მთელი სიმძიმე ამ ხარჯებისა კისრად დააწვეს ჩვენს უბედურსა და გაძვალტყავებულ ხალხს, რომელმაც ბოლოსა და ბოლოს უნდა ზღვას ყველა ის მილიონები, რომლებსაც რუსის მოხელებს ვურიგებთ. სახელმწიფო ინტერესი მოითხოვს საქართველოში მხოლოდ ისეთი დაწესებულებანი დარჩეს და იმ მასშტაბით, რომლებიც საქართველოსთვისაა საჭირო, დანარჩენის სრული ლიკვიდაცია უნდა მოხდეს, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველ ხალხს საშინლად დიდს ხარჯს დავადებთ, ისეთს ხარჯს, რომლის ზიდვაც რამდენიმე თაობას მოუხდება. ამისთანა დანაშაულს ქართველი ხალხის წინაშე ჩვენ ვერ ჩავიდენთ და ვფიქრობთ, რომ არც ბ-ნ ლევან ყიფიანსა ჰსურს ამისთანა დანაშაულის ჩადენა.

შეიძლება ბ-ნმა ლევან ყიფიანმა ბრძანოს, შემცირებისა და ლიკვიდაციის წინააღმდეგი არავინ იქნება, მაგრამ ეს თან და თან უნდა მოჰხდესო, ამის მთქმელი მხოლოდ **სიტყვას** იტყვის, ისეთს სიტყვას, რომელშიაც არავითარი შინაარსი არ არის. დასათხოვნად განწირული მოხელე ყოველთვის აღშფოთდება, დღეს დაითხოვთ თუ ხვალ. ამ მოსაზრებათა ძალით დარჩენა დაწესებულებათა, რომელნიც არამც თუ მილიონებსა ჰყლაპავენ, სრულიად **უსაქმოდ** არიან და აუტანელ პენსიონერებად დასწოლიან სახელმწიფოს, უდიდესი დანაშაული იქნებოდა სახელმწიფოებრივი შენების თვალსაზრისით. „ობივატელის“ თვალსაზრისით კი, რომელიც მხოლოდ თავისი **პირადი** ინტერესების საზომით ზომავს სახელმწიფოებრივ საამშენებელო მუშაობას, პენსიონერად ჯდომა ხალხის კისერზე მაინცა და მაინც დიდი დანაშაული არ არის. ჩვენის აზრით საქართველოს მთავრობამ ოთხულ საამშენებლო მუშაობის დროს უნდა იხელმძღვანელოს სახელმწიფო[illegible]ივის თვალსაზრისით და გაანთა[illegible]ულოს ხალხი მოხელეთა ბეგარისაგან.

ავიღოთ მეორე საკითხი—მოქალაქეობრივობისა ანუ ქვეშევრდომობისა. ამ საკითხშიაც ძირიანად განსხვავდება „ობივატელის“ შეხედულება სახელმწიფოს შეხედულებისაგან. „ობივატელს“ და ისიც ისეთს „ობივატელს“, რომელიც გუშინ მპყრობელ—ერის მანიით იყო შეპყრობილი, რა თქმა უნდა, ვერ შეუძლიან შეურიგდეს ისეთს მდგომარეობას, რომ მას რაღაც ქვეშევრდომობის აღიარებას სთხოვენ. მაგრამ ამ ძირითად სახელმწიფოებრივ ინსტიტუტზეა დამოკიდებული მთელი წყება მოქალაქის უფლება-მოვალეობათა. ვინ იხდის სამხედრო ბეგარას? მხოლოდ მოქალაქე. ვის ეძლევა პოლიტიკური უფლებები?

მხოლოდ იმას, ვინც იღებს თავის-თავზე სახელმწიფოს მიერ დაკისრებულ ყველა ვალდებულებას. ჩვენებური „ობივატელები" კი ჰფიქრობენ, რომ მათ შეუძლიანთ უარი სთქვან ყოველნაირ ვალდებულებაზე, მაგრამ უფლებებს კი მოითხოვენ. ამისთანა წარმოდგენა უფლება-მოვალეობის შესახებ გვგონია ჰოტენტოტებსაც კი არა აქვთ. რა თქმა უნდა ჩვენი მთავრობა ამ გზით ვერ წავა და თუ წავიდა, ეს იქნება პირველი ხვრელი, რომელიც საბოლოოდ ძირს გამოუთხრის საქართველოს დამოუკიდებლობასა და სახელმწიფოებრივობას. აქაც აუცილებლად ერთმანეთს დაუპირისპირდება სალი სახელმწიფოებრივი შეგნება „ობივატელურ" შეგნებას, მაგრამ აქაც, როგორც პირველ მაგალითში, სიმართლე, რა თქმა უნდა, პირველის მხარეზე იქნება.

კიდევ ბევრი მაგალითი შეგვეძლო მოგვეყვანა ჩვენის აზრის საილუსტრაციოდ, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია. ჩვენ, რასაკვირველია, სრულიადაც საჭიროდ არ მიგვაჩნია ნაციონალური დევნის გაჩაღება, მაგრამ იქ, სადაც სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვს ამა თუ იმ ინსტიტუტის გაუქმებას, ან ახალის შემოღებას, ობივატელურ სენტიმენტალობასა და ყოყმანს ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ერთს მხარეზე სდგას ხალხი, რომელიც საჭიროებს მტკიცე სახელმწიფოებრივი ჩარჩოების შექმნას თავის განსავითარებლად და მეორე მხარეს კი ბეცი სახელმწიფოებრივი ნაშთის ადეპტები, რომლებიც ყოველს ასეთს ნაშთს მაგრად ებღაუჭებიან. ნურავის გაუკვირდება, თუ ჩვენ მთელის ჩვენის არსებით ხალხისკენა ვართ და უმოწყალოთ ვსპობთ ყველაფერს, რაც კი ხელს უშლის ან დაუშლის მის გამოსვლას თავისუფალი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ახალს, გასხივოსნებულ სარბიელზე.

**არ. ჯაჯანაშვილი.**

## მთავრობაში

სამხედრო მინისტრის განკარგულებით ბათომის პარტიზანულ პოლკის უფროსი პოლკოვნიკი იოს. გედევანიშვილი დაინიშნა სამხედრო სამინისტროს პირად შემადგენლობის განყოფილების უფროსად.

—

იუსტიციის სამინისტრომ მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინა ტფილისის სასამართლო პალატის შტატების სია და პროექტი საგანგებო სასამართლოს დაარსების შესახებ.

—

შინაგან საქმეთა სამინისტრომ წარუდგინა მთავრობას მოთხოვნილება გადასდოს 50000 მანეთი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთათვის სალიკვიდაციო ფულის მისაცემად.

—

იუსტიციის სამინისტრომ წარუდგინა მთავრობას ხარჯთ-აღრიცხვა სამინისტროს მოსამსახურეების ჯამაგირებისათვის

## უკანასკნელი ცნობები

სამხედრო მინისტრს გენერალ სუმბათაშვილისაგან მოუვიდა შემდეგი დეპეშა: ლეჩხუმის მაზრაში ძეამბოხენი მარცხდებიან და უკან იხევენ. ტყვედ წამოვიყვანეთ აფიცერი დარახველიძე და ერთი პრაპორშჩიკი.

## ომის დეპეშები

**ბერლინი.** 8—12. დასავლეთის ფრონტი. იზერსა და ანკრს შუა მოპირდაპირის მრავალმა მცირე შეტაკებამ უნაყოფოდ ჩაიარა ლისის ჩრდილოეთით ჩვენ მოვიგერიეთ ინგლისელების ძლიერი იერიში. სომმას ჩრდილოეთით, სომმას და ლიკონსის შუა დილით მოპირდაპირე მედგარ იერიშებს აწარმოებდა. მან მოახერხა სოფ. არპესინთან წინ წამოწევა. ჩვენმა კონტრ-იერიშებმა ის სოფლის ახლო უკუაგდო, დიდი ბრძოლებია ლიკონსისა და ავრის შორის. შოლნეს სამხრეთ-დასავლეთით ჩვენ იერიში მივიტანეთ მოპირდაპირეზე და ხალლა ავიღეთ. ამიენ-სუანის გზის ორთავე მხარეს ჩვენ უკუვაქციეთ მოპირდაპირის იერიში ავრსა და უაზის შორის. მოპირდაპირის ძლიერი იერიშები გაგრძელდა ბინდამდე ყველა იერიშები მოვიგერიეთ, განსაკუთრებით დიდი ზარალი ნახეს ფრანგებმა ტილესლეისთან. აქ მტერი სცდილობდა ჯავშნოსნებით და არტილერიით ჩვენი წრის გარღვევას, მაგრამ ვერას გახდა.

გუშინ მტრის 17 ჰაეროპლანი ჩამო-ივლისის განმავლობაში გერმანელებმა სულ ჩამოაგდეს 518 ჰაეროპლანი.

**ბერლინი.** 8—12. საღამოს ცნობა. ანკრსა და ავრს შორის ბრძოლა მიწყნარდა. ავრსა და უაზის შორის წარმოებული იერიშები მოპირდაპირისა მოგერიებულ იქმნა

**ვენა.** 8—12. იტალიის ფრონტზე დიდი იერიშები მტრის ქვეითა ჯარისა ვერ განვითარდა. ბევრს ადგილას საარტილერიო და საჰაერო მოქმედებაა. იტალიელთა ჰაეროპლანებმა ჩვენს ჰოსპიტლებს ყუმბარები დაუშინეს.

**სტამბოლი.** 8—12 პალესტინის ფრონტზე გუშინდამ მტრის არტილერიამ ენერგიული მოქმედება გააჩაღა. ჩვენი ფრონტის სხვა და სხვა ნაწილს, აგრედვე ზურგს ყუმბარებს უშენდენ, სხვაგან ყურადსაღები არა მომხდარა რა.

აღმოსავლეთის ფრონტი. მიანდაბის სამხრეთით დიდი ბრძოლის შემდეგ ჩვენ დავამარცხეთ საინკალასთან მეამბოხენი. მტრის ზარალი დიდია. მოკლულია სხვათა შორის ორი ინგლისელი ოფიცერი.

აფრიკის ფრონტი. იტალიელები სცდილობდნენ ტრიპოლისის ხელახლა აღებას, მაგრამ ჯერ ვერაფერს გამხდარან.

## ახალი ამბავი

**საშუალო სასწავლებლები ტფილისში.** საერო განათლების სამინისტროს სამოსწავლო საბჭოს, როგორც გადმოგვცეს, შეუდგენია შემდეგი პროექტი ტფილისში საშუალო სასწავლებლების გაეროვნებისა მომავალ სამოსწავლო წლისათვის: ტფილისის 1-ლი და მეორე გიმნაზიები და ამასთანავე ყოფილი სათავად-აზნაურო გიმნაზია გამოცხადებულ იქნებიან ქართულ სახელმწიფო გიმნაზიად (სათავ. აზნაუროს დაერქმევა ტფილისის მე-3 გიმნაზია); ყოფილი მე-3 გიმნაზია გამოცხადდება ტფილისის სომხურ გიმნაზიად; ყოფილი მე-6 გიმნაზია გამოცხადდება ტფილისის რუსულ გიმნაზიად; მე 4 გიმნაზია იქნება ტფილისის რუსულ-სომხური გიმნაზია და მე-5 ავლაბრის, დარჩება იმავ მდგომარეობაში, რომელშიაც დღეს არის, ე. ი. ნახევარი იქნება ქართველთათვის, ხოლო მეორე ნახევარი ყველა არა-ქართველთათვის. რეალური სასწავლებელი დარჩეს უცვლელად: ძირითადი განყოფილება ქართული ხოლო პარალელური დროებით არა ქართველთათვის. რაც შეეხება თვით სწავლების გაეროვნებას, სავალდებულოდ არის აღიარებული გაეროვნება მე-V კლასამდე, დანარჩენებში შეძლების დაგვარად. ქართული ენის სწავლება სავალდებულო იქნება რუსულსა და სომხურს გიმნაზიებში. ეს გეგმა წარედგინება დასამტკიცებლად მთავრობას.

**ქართულ-გერმანული კულტურ. საზოგადოების** საორგანიზაციო კომიტეტი ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა და თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ კომიტეტის მუშაობა სრულიად დამთავრდა და საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება შესდგება კვირას, 18 აგვისტოს გასარჩევი საკითხებია: 1) პრეზიდიუმის: თავმჯდომარისა და თანაშემწეთა, მდივნისა და ხაზინადარის არჩევნები 2) სამეურნეო, სალიტერატურო და სასკოლო სექციების წევრთა არჩევნები, 3) სამოქმედო პროგრამის მთავარი დებულებანი. კრება შესდგება ფრეილინის ქ. № 11, ეროვნულ საბჭოს ყოფილ ბინაზე და დაიწყება სრულს 11 საათზე. იქვე მიიღება წევრთა ჩაწერა.

**გემები უკრაინიდან.** ფოთიდან უკრაინის რადას ატყობინებენ, რომ იქ მოვიდა უკრაინის გემი „დიმიტრი", რომელსაც ორასი მგზავრი მიჰყავს ფოთიდან ფეოდოსიაში, კაცზე 200 მანეთია ფასი, ბარგი და 7 წლისაზე უმცროსი ბავშვები უფასოდ გემი სამ დღეს სოხუმში მოიცდის თამბაქოს შესასყიდად. კიდევ მოელიან ასეთ გემებს.

**მილიციის უფროსის განკარგულებით** დაიხურა ბაღი „პარიზიენი" (მიხეილის ქუჩა, № 107) რადგანაც ბოლო დროს იქ მეტად გახშირებულა ჩხუბი და უწესრიგობა.

აგვისტოს 6 ქუთაისში მოხდა კრება რკინის გზის მოსამსახურეთა პირველი განყოფილების, რომელმაც ერთხმად გამოიტანა გადაწყვეტილება გაუქმებულ იქმნას რკინის გზის ცენტრალური და ყველა ადგილობრივი კომიტეტები, ვინაიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან იმათ მოქმედებას ზიანის მეტი არა მოუტანიათ რა სახელმწიფოსათვის. თავის უკანონო გადაწყვეტილებით ხელს უწყობენ ანარქიის გაძლიერებას. მათ იყო სრულიად უკანონოდ, რაიც სამართლიან გულისწყრომას იწვევს რამოდენიმე ათასეულ მუშა-მოსამსახურეებში. საჭიროა დროებით შეჩერება ცენტრალური კომიტეტის განკარგულებისა მოსამსახურეთა დათხოვნის შესახებ და მთავრობის მიერ ამ საქმის გამოძიება, რათა თავიდან აცილებულ იქმნას მოსალოდნელი არა სასურველი ექსცესები კრების მიერ არჩეულ დელეგაციის წევრნი: **ნესტორ ლეჟავა, ანტონ ციბაძე.**

**სირინის დაპატიმრება.** აგვისტოს 12-ს შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწის ორდერით, საღამოს ცხრა საათზე საგანგებო რაზმის წევრებმა გაჩხრიკეს რუსთა ეროვნულ საბჭოს წევრის ბ. სირინის ბინა აღმოაჩინეს იარაღები, მრავალი ნივთები და სხვ. სირინი დააპატიმრეს.

**ისრაელების დეპეშა.** ჩვენს რედაქციას ასეთი შინაარსის დეპეშა მოუვიდა აბაშიდან: „სუჯუნაში ეროვნულ-კულტურულ საკითხთა გადაწყვეტისათვის შეკრებილი ებრაელობა ერთხმად აცხადებს, რომ იგი სავსებით მზად არის სამშობლო საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა დაიცვას და ამასთანავე გამოსთქვამს თავის მტკიცე ორწმენას, რომ ამ ჟამად დავიწყებას არ მიეცემა ჩვენი ებრაული ეროვნული ინტერესებიც. კრების თავმჯდომარე ბაზაზოვი, მდივანი ეფრემაშვილი".

**ფოსტა-ტელეგრაფში.** თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისა, საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში ნებადართულია ფოსტისა და ტელეგრაფის კორესპონდენცია მიღებულ იქმნას როგორც ქართულს, ისე რუსულს ენაზე, გამგზავნელთა სურვილის მიხედვით.

**დღეს, ოთხშაბათს, სად. 8 ს. დანიშნულია** საგანგებო კრება საბიუჯეტო საფინანსო კომისიისა, რომელზედაც მოწვეულნი არიან მთავრობის თავმჯდომარე, მინისტრები: გზათა, სასურსათო, საფინანსო და სავაჭრო სამრეწველო, მიწათმოქმედების და მიმწოდებელი კომიტეტის თავმჯდომარე, სახელმწიფო კონტროლიორი, სასურსათო სამინისტროს რწმუნებული არდიშვილი და გაცვლა-გამოცვლის კომიტეტის თავმჯდომარე გ. ნიკოლაძე სხდომის საგანი: ფრიად დიდმნიშვნელოვანი ჩვენს ფინანსიურ მდგომარეობასთან დაკავშირებულია მოწესრიგება და განაღდება სახელმწიფო ქონების, რომელიც დარჩენილია ფრონტის დაშლის შემდეგ.

**შეკითხვა.** ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმში შემოვიდა ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის მთავრობისადმი შემდეგი შეკითხვა „საქართველოს რკინის გზებზედ მოსამსახურეთა შტატების შემცირება და შტატს გარეშე დარჩენილ მოსამსახურეთა დათხოვა უკანონოთ და უწესრიგოთ ხდება. რკინის გზის მოსამსახურეთა ცენტრალ კომიტეტის უკანონო მოქმედებანი სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს მრავალ ათას მოსამსახურეთა შორის. რა ზომებს იღებს რკინის გზათა მინისტრი რომ, 1) ცენტრალ კომიტეტის უკანონო განკარგულებანი გაუქმებულ იქმნან და 2) რკინის გზის რეორგანიზაცია და შტატების შემცირება სახელმწიფოებრივი წესით მოხდეს.

**დატუსაღება.** გარნიზონის უფროსმა დაატუსაღა წითელი ჯვრის უფროსი კ. სმირნოვი გერმანიის მისიის შეურაცყოფისათვის.

**ქურდობა.** აგვისტოს 12-ს ზურაბოვის ბინიდან (ვაგზლის ქუჩა, № 7) რამდენიმე ბოროტ-მზრახველებმა წაიღეს 15 ათასი მანეთის ნივთები.

**საქონლის მიმწოდებელ კომიტეტის** საწყობიდან (მადათოვის ქუჩა № 5), მოიპარეს 10 ათასი მანეთის სხვა და სხვა ნივთები. როგორც გამოირკვა, ქურდობა მოუხდენია მოსამსახურე სტეფანე არტემიუკს სხვა მოსამსახურებთან ერთად დამნაშავენი დაატუსაღეს.

**მარილის ჩამოტანა.** როგორც მთავრობა იუწყება, ყირიმიდან უკვე ჩამოუტანიათ საქართველოს რესპუბლიკის წლიურ საჭიროებისათვის სამყოფი მარილი—140 ათასი ფუთი, რომელიც ტფილისს გამოიგზავნება. 110 ათასი ფუთი კიდევ გზაშია და მალე ფოთს ჩამოიტანენ. ამას გარდა თვით ფოთში კერძო პირებს რეკვიზიციის წესით ჩამოართვეს 00 ათასამდე ფუთი მარილი ეს მარილიც ტფილისს გამოიგზავნება.

**დაჭრა.** აგვისტოს 12-ს მიხეილის ქუჩაზე ბაღ „პარიზიენში" ჩხუბი ასტეხეს ოფიცრებმა დოლმაზიშვილმა და კ. ბოკუჩავამ. ბოკუჩავამ რევოლვერით მძიმედ დაჭრა ...ლი საქალაქო საავადმყოფოში მოათავსეს, ბაკუჩავა კი დაატუსაღეს.

**გენ. მაზნიაშვილის ჩამოსვლა.** გენ. მაზნიაშვილი ჩამოვიდა და გუშინ მთავრობას მოხსენება წაუკითხა.

**ქართული უნივერსიტეტის სასარგებლოდ** მთავრობის ნებართვით გაიმართება დიდი ლატარია, ბილეთის ფასი 25 მან. ბილეთები სულ 5 მილიონის მან. არის გამოშვებული. სათამაშო ბილეთი 200,000 ცალია, მათ შორის მომგებიანი ბილეთი 2.393 ცალი ერთი ბილეთთაგანი მოიგებს 100,000 მანეთს, ერთი 50 ათასს, ერთი 25 ათას, ორი 10,000 მანეთს ლატარია დანიშნულია 1918 წლის დეკემბრის 25.

**გერმანიის მისიის** ცნობით, გერმანიის საელჩო მოსკოვში გადავიდა.

**ორი კაცის დაჭრა.** კვირაცხოვლის ქუჩაზე, აგვისტოს 12 დღისით 12 საათზე ერთი მეტად უცნაური ამბავი მოხდა. ლოჟინისა და კვირაცხოვლის ქუჩების შესართავთან რზუმანოვის სარდაფში იქვე მეზობელ მესარდაფეს ესტატე გელოვანს სადილად მიუწვევია იოსებ სალირაშვილი (ბ-ნ სალირაშვილს როგორც კარგს მეთარეს ჩვენს კონცერტებზე დამსწრე საზოგადოება კარგად იცნობს). გელოვანს იქვე თავის „პოსტზე" მდგომ მილიციონერის არტემა ავეტისიანცისათვისაც დაუძახნია. როდესაც ჩასულან სარდაფში მოთხოვნილებისამებრ მესარდაფე შესდგომია მათთვის სუფრის შემზადებას. გელოვანი და სალირაშვილი ჯერ არ იყვნენ დამსხდარნი კიბის ასავალში თითქმის ერთი მეორეზე მდგარან. არც მიზეზი რამ ყოფილა და რაიმე ეჭვი მათ არ ჰქონიათ თუ მათ რაიმე უბედურება მოუვიდოდათ. დაზგის ბოლოზე მდგარა მილიციონერი ავეტისოვი, რომელსაც იქვე მდგომი, შეუწყვია ფეხზე თოფი და სრულიად მოულოდნელად და ყველას განსაცვიფრებლად უსროლია მათთვის ტყვიას გაუვლია გულის სწორა გელოვანისათვის, შემდეგ სალირაშვილს მოხვედრია გვერდსა და მკლავში და კედელში მოხვედრია. მალევე მისცვივნიან ავეტისოვს და იარაღი ჩამოურთმევიათ როცა უკითხავთ, რად ჩაიდინე ეს საძაგლობაო, ავეტისიანს უთქვამს; მათ საქართველოს მთავრობა აგინეს და მე ვერ მოვითმინეო სალირაშვილს და გელოვანს დამსწრეთა სიტყვით არავინ არ უგინებიათ. ფიქრობენ ავეტისიანის მოქმედებას წინად განზრახვის სარჩული უნდა ჰქონდეს. დაჭრილი გელოვანი და სალირაშვილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. ექიმების შემოწმებით გელოვანი სასიკვდილოდ არის დაჭრილი.

## სოფლად და ქალაქად

**სოფ. ბერეთისა.** (საჩხერის რაიონი).

აგვისტოს 3-ს ადგილობრივი ინტელიგენციის მეთაურობით შესდგა კრება მომენტის შესახებ. ახსნა-განმარტების შემდეგ მიიღეს შემდეგი დადგენილება: სრული ნდობა გამოუცხადოთ დღევანდელ დროებით მთავრობას და მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას; უსიტყვოდ შევასრულოდ ყოველივე მთავრობის მოთხოვნილება. როგორც იარაღის ჩაბარებით, აგრეთვე ყოველგვარი მოთხოვნილებით. არჩეულ იქმნა დელეგატები ადგილობრივ მთავრობასთან გასაგზავნად რათა გააცნონ ეს დადგენილება დელეგატებს 1) პლატონ ტაბატაძეს და ბარძიმ კვიჟინაძეს გადასცეს ოქმი და სთხოვენ მთავრობას დაიცვას ეს სოფელი იმ უპასუხისმგებლო შეიარაღებულ პირებისაგან, რომლების გავლენის ქვეშ იმყოფება ეს სოფელი და მუქარით გვიმასპინძლდებიან ჩვენ გამოსვლებზე.

**სტუმარი.**

## საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

**ტფილისის კომიტეტის კრება დანიშნულია დღეს, ოთხშაბათს აგვისტოს 14-ს საღამოს 7 ს. განხილული იქნება სხვა და სხვა საკითხები სექციების მიერ შემოტანილი.**

—

**მუშათა კავშირის გამგეობის კრება დანიშნულია დღეს, აგვისტოს 14-ს საღამოს 7 ს. (ახალის დრ.). ვთხოვთ არ დაიგვიანონ.**

## ზოგი რამ

რუსული გაზეთ **სოციალ-დემოკრატი** გაკვირვებულია, რომ საქართველოს სახელმწიფოში კანონები ქართულად შეთხზული, ქართულად განხჯილი ქართულად იბეჭდება საქართველოს მოქალაეროვნულ უმეტესობათა ენებიაც გამო... დიოდეს **სოციალ-დემოკრატს,** როგორც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული შათა-პარტიის ორგანოს ... საქართველოში არ ჰქონია როგორც ეგონა მაისის ოცდა ექვსამდე. არც ჰსურს, იცოდეს, რომ საქართველოს რესპუბლიკა არის სუვერენი ქართველ ხალხის ეროვნული სახელმწიფო, ეროვნული უმცირესობანი, რომელნიც ხსენებულ რესპუბლიკაში სცხოვრობენ, იმისთვის ატარებენ ასეთ სახელს, რომ ისინი საქართველოში მოსული არიან და არ წარმოადგენენ ტერიტორიალ მოსახლეობას. დემოკრატიული წეს-წყობილება ჩვენი რესპუბლიკისა იმათ არ უკრძალავს ეროვნულ მშობლიურ განვითარებას, არც როგორც საქართველოს მოქალაქეებს სახელმწიფოს მართვა გამგეობაში მონაწილეობის მიღებისთვის პოლიტიკური მოქალაქობრივ უფლებათა სარგებლობას მაგრამ რაკი, როგორც უტერიტორიონი სუვერენული არ არიან, მით მოვალენი არიან, იცოდენ სახელმწიფოებრივი ენა სუვერენი ხალხისა, რომლის მიწაწყალზედაც სცხოვრობენ.

ხალხთა სახელმწიფო იყო მოსკოვის იმპერია, სადაც შედიოდნენ სუვერენი და ტერიტორიის მქონე ხალხები პოლონელები, ფინები, უკრაინელები, ქართველები, თათრები, სომხები და სხვები. მაგრამ რადგანაც ხსენებულ ერთა სუვერენობას მოსკოური იმპერიალიზმი არ სცნობდა, აკი დაირღვა კიდეც, როცა განკითხვის დღე დაუდგა. სუვერენ ხალხთა სახელმწიფოებს წარმოადგენენ აგრეთვე ავსტრო-უნგრეთი და შვეიცარია. პირველ სახელმწიფოში ეროვნულ პოლიტიკური უფლება შემავალ ხალხთა გერმანელთა უნგართა, ჩეხთა და სხვა სლაველთა თუმცა თანაბრად არ არის განვითარებული. მაგრამ იმდენად მაინც შეუწყნარებია ავსტრო-უნგრეთის კონსტიტუციას, რომ იქ სახელმწიფოს დამრღვეველი ნიშნები ჟამთა-ვითარებით თანდათან მცირდება რაოდენობით და შეიძლება სრულიადაც მოისპოს, თუ სახელმწიფოს მმართველმა წრეებმა საფუძვლიანად შეიგნეს რომ ერთა სახელმწიფოს ხანგრძლიობა და სიმტკიცე მის შემავალ ხალხთა თანასწორუფლებიანობაზე ჰკიდია.

რაც შეეხება შვეიცარიას, მისი რესპუბლიკა ამ მხრით უნაკლულოა. გერმანიის, საფრანგეთის და იტალიის გერმანელთა, ფრანგთა და იტალიელთ ნაწილებს, რომელნიც სცხოვრობენ თავიანთ ტერიტორიაზე, გადაუწყვეტიათ ერთად ცხოვრება და თავიანთი ნებაყოფად დაუარსებიათ რესპუბლიკა, სადაც სამივე ხალხი თანასწორ სუვერენია, სამთავ ენები სახელმწიფოებრივია. ამიერკავკასიის რესპუბლიკა დღე მოკლე რომ არ გამომდგარიყო, მის პარლამენტში იქმნებოდა სამი სახელმწიფოებრივი ენა: ქართული, თათრული და სომხური. რადგანაც რესპუბლიკა იყო სამი სუვერენი ხალხის ქართველების, თათრების და სომხებისა, რომელნიც თავიანთი ტერიტორიით შედიოდნენ რესპუბლიკაში. სხვა ხალხნი კი, როგორც არ მქონებელნი ტერიტორიისა და მყოფნი ამის გამო ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობაში. არც იქმნებოდნენ სუვერენები, არც მათი ენა იქნებოდა სახელმწიფოებრივი.

ეს ამბავი კარგად მოეხსენება რუსული იმპერიალისტური სოციალიზმის იდეოლოგს და მოსკოვის აქ კვლავ გაბატონების მოტრფიალე **სოციალ-დემოკრატს**. მაგრამ რისი იმპერიალისტი იქნება, თუ შეიწყნარა ქართველი ხალხის სუვერენობა საქართველოს ტერიტორიაზე და მისი ეროვნული სახელმწიფოებრიობა, ვინც იბრძვის ხალხის პოლიტიკური თავისუფლებისათვის, მისი კულტურის აღორძინების და მის ქვეყანაში დემოკრატიული წესწყობილების შემოღების გამტკიცებისთვის, ის თურმე შოვინისტი ვიწრო ნაციონალისტია, უკეთუ ხალხი იგი და მისი ქვეყანა დამხობილი მოსკოვის იმპერიის შემავალი ნაწილი ყოფილა. **სოციალ-დემოკრატის** აზროვნება ასეთია. ის კი არა თუ თვითონ არის ასეთი შოვინისტი მოღვაწე. უთარგმნეთ ქართული კანონები რუსულად და იგი იქმნება უმაღლესი დემოკრატიზმი. სკოლებში დასტოვეთ მოწაფეთა ეროვნული სიჭრელე, რომელიც ძველ რეჟიმს გასარუსებლად შემოღებული ჰქონდა, ასწავლეთ ისევ ყველას ყველა საგნები რუსულად, იგიც იქმნება უმაღლესი პედაგოგია.

მოვაგონებთ რუსაპეტა „სოციალისტების" ორგანოს, რომ ასეთი პოლიტიკის წარმოება სხვის ქვეყანაში, რომელსაც თავი დაუღწევია მონობისაგან ძალმომრეობაა, ყოველი ღონისძიება დასაგმობი ხოლო მათი და მსგავს...

როვნების შოვინისტ-ნაციონალისტების ზამოსვლა საქართველოს დამოუკიდებლობის და სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ სისკვდილის სასჯელითაც მოსალოდნელი. ქართველი ხალხი არც შეჰკითხვია, არც დასტური აუღია რუსის, სომხის და სხვა ეროვნულ უმცირესობათა საბჭოებისაგან თავის სახელმწიფოს დასაარსებლად. დასტური საქართველოს სახელმწიფოს მისცა თვით ქართველმა დემოკრატიამ, როგორც სუვერენულმა და თავისი საკუთარი ტერიტორიის პატრონმა.

რაც შეეხება ზოგიერთ რუსულ-სომხურ გაზეთს, საქართველოს ხალხის 40⁰/₀ უცხო ტომელიაო, ჩირადაც არა ჰღირს ასეთი სტატისტიკა, რადგანაც იგია შედგენილი ძველი რეჟიმის დროს, როდესაც სომხის ტერტერები და შოვინისტები გრიგორიან ქართველებს სომხებად ასაღებდნენ და რუსის მთავრობის წადილიც ის იყო. ქართველი ხალხის რაოდენობას და საერთოდ ქართული ენის ასპარეზს უტყუარად ამოიკვლევს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა. მალე იგრძნობენ ჩვენი მტერმოყვარენი, რომ ისინი სცხოვრობენ საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოში, სადაც ადმინისტრაციის, სასამართლოს და სკოლის საქმე, დაუბრკოლებლივ განვითარდება, რადგანაც მის წარმატებას ხელს შეუწყობს ბუნებრივი ბატონობა ქართული ენისა საქართველოს ტერიტორიაზე, რაც ძველი რეჟიმისგან განგებ შევიწროვებული იყო, და საქართველოს უცხო ტომელ მოქალაქეთათვის სავალდებულო ცოდნა სახელმწიფოებრივი ქართული ენისა.

პეტრე მირიანიშვილი.

## ექიმ მუსხელიშვილის დათხოვნის გამო

საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზათა ექიმთა კავშირის გამგეობამ ცალკე ფურცლად რუსულ ენაზე გამოაქვეყნა თავის დადგენილება, რომელიც მას გამოუტანია თვალის ექიმის ვ. მუსხელიშვილის რკ. გზის კომიტეტისგან დათხოვნის გამო, ექიმთა კავშირის გამგეობა ჯერ იგონებს სიტყვას მუსხელიშვილისას, რომელიც სარკინისგზო კომიტეტმა ხელზე დაიხვია მის წინააღმდეგ, როგორც ვითომდა კონტრ-რევოლიუციონურობა, შემდეგ აღნიშნავს, რომ მუსხელიშვილის სიტყვაში არაფერი შავრაზმული არ ყოფილა და რომ ის შეიცავდა მარტო აშკარა და თამამ კრიტიკის რკინის გზის კომიტეტის მოქმედებისას და კერძოდ კომისარ ნინუას მოღვაწეობისას და ბოლოს ასე დასძენს: „ექიმმა მუსხელიშვილმა, როგორც გამგეობის წევრმა, სხვაზე უკეთ იცის, რომ კომიტეტი თავის გამოქომაგებით მიუწდომელად ხდიდა კომისარ ნინუას და რომ ამას ბოლოს მოლება უნდოდა. და ამიტომ მან კრებაზე განაცხადა ის, რაც გულს უღრნიდა და რისათვისაც იდევნებოდა, თუმცა ის რკინის გზაზე 15 წლის განმავლობაში პატიოსნად მსახურებდა, როგორც თვალის ექიმი, ხოლო როგორც საუკეთესო სოციალისტმა დაიმსახურა ნდობა და მადლიერობა რკინის გზის მოსახლეობისა. ექ. მუსხელიშვილი დაითხოვეს. ჩვენ, რკ. გზის ექიმთა კავშირის გამგეობის წევრნი, სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ იმის გამო, რომ ექ. მუსხელიშვილის დათხოვნა მოჰხდა ისე, რომ წინასწარ მას საშუალება არ მისცეს თავის მართლებისა, რაც შეადგენს ელემენტარულ უფლებას ყველა მოქალაქისას. ამისათვის ასეთ დადგენილებას ჩვენ ვსთვლით **არა კანონიერად და არა დემოკრატიულად**, რაიც გვაგონებს ჩვენ ძველი რეჟიმის დროინდელ თვითნებობას და ბნელ, საიდუმლო ძალების ავსაქმიანობას და ვსთხოვთ ყველა ამხანაგ ექიმს გაიგონ ჩვენი მდგომარეობა და, თუ მთავარ სარკინისგზო კომიტეტის დადგენილება არ გააუქმეს ან გზათა უფროსმა ან გზათა მინისტრმა ჩვენ იძულებულნი ვიქნებით **ნიშნად პროტესტისა თვითნებობის წინააღმდეგ ექ. მუსხელიშვილის ადგილს ბოიკოტი დავადოთ** და ვსთხოვთ ჩვენ ამაში მხარი მოგვცენ". შემდეგ გამგეობა იხსენიებს, რომ მას არა სურს ვინმე დროებით მოადგილედ მაინც იყოს მუსხელიშვილისა და რომ ასეთი დადგენილება წინასწარ გამოტანილია აგრეთვე იმ ექიმებზედაც, რომელთაც ვინიცობაა შემდეგში მუსხელიშვილის ბედი ეწიოთო.

## ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფ. კავშირის კრებაზე

აგვისტოს 11-ს ბეჭდვითი საქმის მუშათა საზოგადო კრებას ს. ვადაჭკორია თავმჯდომარეობდა. მოწინააღმდეგეთა კანდიდატმა ნაკლები ხმა მიიღო. ამ გვარად გამოირკვა, რომ კრების უმრავლესობას ჩვენები შეადგენდნენ. და რომ მართალი იყოს ყველაფერი ის, რასაც „ტრუდოვოე ზნამია" და „სოციალ-დემოკრატი" მიაწერენ ჩვენ ჯგუფს, მაშინ ჩვენ ხომ სრული საშუალება გვქონდა, აგვისტოს 11-ის კრებაზე „გამარჯვება გვედღესასწაულნა? მაგრამ, რა თქმა უნდა ყველა მათი ბრალდებანი, ეს უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ მათი ფანტაზიის ნაყოფია და არაფერი საერთო არა აქვს ჩვენს სურვილებთან და მისწრაფებებთან. ჩვენ გულისტკივილით უყურებთ იმ მოღვაწეობას, რომელსაც ჩვენი ზოგიერთი ჩრდილოელი ამხანაგები აწარმოებენ ჩვენს კავშირში და რომელიც ვერაფერ ხეირს დააყრიდა ჩვენს კავშირს და ამიტომ ყოველი ზომა მივიღეთ რომ უთანხმოება განხეთქილებად არ გადაქცეულიყო. ამ საქმეში დიდი დახმარება გაგვიწია ტფ. კავშირების საბჭოთა წარმომადგენლებმა ამხ. ხელაძემ და ბადრიძემ, რომელთაც კრებას წარმოუდგინეს შემარიგებელი რეზოლიუცია და რომელიც ერთხმად იქნა კრების მიერ მიღებული.

შემდეგ არჩეულ იქნა ახალი გამგეობა რომლის შემადგენლობა იმედს იძლევა რომ კავშირის საქმეები ამიერიდან საიმედო ამხანაგების ხელში იქნება და რომ კავშირი შესძლებს კლასიურ ინტერესების ჯეროვანად დაცვას და ნორჩ საქართველოს რესპუბლიკასაც ფხიზელ დარაჯად დაუდგება.

ჩვენი მხრით ახალ გამგეობას აღუთქვამთ ჩვენს დახმარებას და ყოველი ძალღონით ვიმუშავებთ კავშირის გაძლიერების და აღორძინებისათვის.

ე. ტ—ძე

## საყოველთაო სწავლება

(შემდეგი *)

**პორტუგალია:** პორტუგალიაში დიდხანს ბატონობდნენ იეზუიტები, რომლებიც მუდამ ჩაგრავდნენ დასაწყის განათლების საქმეს. იეზუიტების განდევნის შემდეგ საერო განათლებამ ნელნელა მოიკიდა ფეხი და 1899 წ. გამოსცეს კანონი, როლის მიხედვით დასაწყისი განათლება უფასო და სავალდებულო უნდა იყვეს 7—15 წლამდის. თუმცა კანონი მშობლებს დაჯარიმებით სასტიკად სჯიდა და წერა-კითხვის უცოდინართ პოლიტიკურ უფლებასაც ართმევდა, მაგრამ პორტუგალიაში განათლება მაინც ნელის ნაბიჯით ვრცელდებოდა. უკანასკნელ ხანებში პორტუგალიაში საზოგადოებრივი განათლება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და განათლების მაღალი საბჭოს უწყებაშია. სკოლას განაგებს ოლქი, საზოგადოება (თემი) და მრევლი. დასაწყისი სკოლა ელემენტარულია და დამატებითი. ელემენტარულ სკოლაში ასწავლიან წერა-კითხვას, არითმეტიკას, გრამატიკას, ხატვას, ზნეობას, რელიგიას, სამშობლოს ისტორიას, გეოგრაფიას, ხაზვას, ჰიგიენას, მიწის დამუშავებას, ვარჯიშობას, გალობას, მოქალაქის უფლება-მოვალეობას, ქალებს კი უკანასკნელი ოთხი საგნის ნაცვლად ასწავლიან მეოჯახეობასა და დედის მოვალეობას.

**ჩერნოგორია.** ჩერნოგორიაში 1870 წლამდის სკოლა ეკლესიას ემსახურებოდა. 1879 წლიდან სახალხო განათლებას იქ მთავრობა განაგებს. კანონით სწავლა-განათლების საქმეში ყველა სარწმუნოების მოქალაქეს თანასწორი უფლება აქვს. დასაწყისს სკოლებში სწავლა უფასოა და სავალდებულო 7—12 წლამდის. დასაწყის სკოლაში ასწავლიან: სალვთო სჯულს, სერბიულს ენას, ეკლესიურ-სლავიანურ კითხვას, არითმეტიკას, გეომეტრიას, გეოგრაფიას, ბუნებისმეტყველობას, სუფთა წერას, ხიზვას, ვარჯიშობას. სკოლები საერთოდ კარგად აქვსთ მოწყობილი.

**ბულგარეთი.** ბულგარეთში 1891 კანონით სახალხო განათლების საქმე ასეა მოწყობილი: სათავეში სახალხო განათლების მინისტრია, სახალხო სკოლების ადგილობრივი გამგეობა ოლქის ინსპექტორების. ოლქის სასწავლო საბჭოების და საზოგადოების (თემის) სასწავლებლის მოძღვრის ხელშია. სწავლა უფასოა და სავალდებულო 6—12 წლამდის. სასკოლო პროგრამაში შედის: ზნეობა, სალვთო სჯული, ბულგარული ძველი და ახალი ენა, სამშობლოს შესწავლა, მოქალაქობრიობის დასაწყისი, საზოგადო ისტორია და გეოგრაფია, არითმეტიკა, გეომეტრია, დასაწყისი ფიზიკისა, ქიმიისა, ბუნებისმეტყველებისა და ჰიგიენისა, ხატვა, გალობა, ვარჯიშობა, ხელგარჯილობა ვაჟებისათვის და ხელსაქმე ქალებისათვის. სასწავლებელს ინახავენ საზოგადოება, ოლქი და სახელმწიფო. უკანასკნელი იხდის ორმესამედ მასწავლებლის ჯამაგირისას.

**რუმინია** რუმინიაში 1864 წლიდან შემოღებულია სავალდებულო უფასო სწავლება 7—14 წლამდის. სკოლების დაარსება და მოწყობა საზოგადოების საქმეა, რამდენსამე საზოგადოებას შეუძლიან სასკოლო ხარჯი ერთად გასწიონ.

უკანასკნელ დრომდის სკოლები რუმინიაში მხოლოდ ეკლესიებთან არსებობდა, სკოლებს მედავითნეები განაგებდნენ. მაგრამ მშრომელი კლასის სიღარიბის მიზეზით განათლების საქმე რუმინიაში ნელის ნაბიჯით მიდის წინ, ისიც ჯარიმის, შიშით. ამ ჟამად სკოლების მეთვალყურეობა დავალებული აქვს ოთხ საზოგადო ინსპექტორს. სკოლის შესანახს ხარჯს სახელმწიფოც ეწევა და საზოგადოებაც. საზოგადოება ვალდებულია სკოლას ადგილი მისცეს, რომ მასწავლებელს შეეძლოს მეურნეობაც შეასწავლოს მოსწავლეებს. საზოგადოების ვალია ხარჯი გასწიოს სკოლის შენობაზე, მასწავლებლის ბინაზე, მოაწყონ სკოლა სასწავლო ნივთებით, ავეჯით, მისცენ მასწავლებელს მსახური, განათება, გათბობა. სამინისტრო განსაზღვრავს ყველა ხარჯს თითოეული საზოგადოებისათვის და ეს ჯამი აუცილებლად შედის საზოგადოების წლიურ ხარჯთ-აღრიცხვაში.

**ოსმალეთი.** სახალხო განათლების კანონი ოსმალეთში 1869 წელს გამოსცეს. ამ კანონით საზოგადოების სკოლა ორნაირია დაბალი და მაღალი. დაბალი სკოლების რიცხვი საკმაოდ იყო როგორც ქალაქში, ისე სოფლებში. სკოლის შენახვა ადგილობრივ მკვიდრთა საქმეს შეადგენს. სკოლაში სიარული კანონით სავალდებულოა ვაჟებისათვის 6—11 წლამდის, ქალებისათვის 6—10 წლამდის. დაბალი სკოლის კურსი ოთხ-წლიანია. დაბალ სკოლაში ასწავლიან ანბანს, ყურანს, მუსულმანურ კატეხიზმს, წერას, მოკლე გეოგრაფიას, ქალებს—ჭრა-კერვას. მაღალი სკოლა უნდა მოეწყოს სოფელში, სადაც მცხოვრებთა რიცხვი 500 მეტია. სკოლაში სიარული სავალდებულო არ არის, კურსია ოთხ-წლიანი, სწავლა უფასოა.

**ინგლისი.** მე-16 საუკუნეში ინგლისში მონასტრებს საერო საჭიროებისათვის ჩამოერთვათ ქონება, რომლის შემოსავალი ეგრედ წოდებულს საგრამატიკო სკოლებზე იხარჯებოდა. 1699 წლიდან, როცა ინგლისში დაარსდა ქრისტიანული ცოდნის გამავრც. საზოგადოება, მე-18 საუკუნის ნახევარში ამ საზოგადოებას 1500 სკოლა ჰქონდა. მე-18 საუკუნეშივე ინგლისში დაარსდა „საკვირაო სკოლების" საზოგადოება, რომელსაც მიზნად ჰქონდა უფასო სკოლების დაარსება. ამ საზოგადოებას სასულიერო წოდება უნდობლად შეხვდა, იგი უკრძალავდა სკოლებში წერას, რადგანაც ასეთი საერო საქმიანობა კვირაობით შეუძლებელიაო. იმავე დროს ინგლისში დაარსდა კიდევ ახალი ბრიტანიის საზოგადოება, რომლის სკოლაში რელიგიოზურ აღზრდას ქრისტიანული მოძღვრების თვალსაზრისით აძლევდნენ მოწაფეებს და არა რომელიმე განსაზღვრულ სარწმუნოების მიხედვით. მხოლოდ 1833 წ. როცა ინგლისში არჩევითი წესები დამყარდა, მთავრობამ სახალხო სკოლებსაც ყურადღება მიაქცია, ბრიტანიის საზოგადოებას შემწეობა დაუნიშნა სკოლების მოსაწყობად, 1870 წელს გამოსცა კანონი, რომლითაც ინგლისში და ვალისში სავალდებულო სახალხო განათლება იქმნა შემოღებული. მთელი ქვეყანა სასკოლო ოლქებად იქმნა დაყოფილი, თუ რომელსამე ოლქში სკოლების რიცხვი მცირე იყო და სასკოლო ასაკის ბავშვები, რომელთა ⁰/₀ მთელი მცხოვრებთა რიცხვიდან 16,7⁰/₀ უნდა ყოფილიყო, იქ უსათუოდ უნდა დაარსებულიყო სასკოლო კომიტეტი, რომელსაც უნდა ეზრუნა სკოლების საკმაო რიცხვის გახსნაზე. სასკოლო ხარჯს ინგლისში ჰფარავს ადგილობრივი გადასახადი, მთავრობის შემწეობა და სწავლის ფული სასკოლო კომიტეტს შეუძლიან ღარიბები სწავლის ფულისაგან გაანთავისუფლოს. 1891 წელს ინგლისში გამოიცა კანონი, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო, გარდა ჩვეულებრივის დახმარებისა, ვალდებულია ყველა სახალხო სკოლას თითო მოსწავლეზე მისცეს ათ-ათი შილინგი (3 მ. 20 კაპ.) იმ პირობით, რომ ასეთს სკოლებში მოსპობილ იქმნეს სწავლის ფულის გადასახადი. ამ კანონით ინგლისში ფაქტიურად შემოღებული იქმნა უფასო სწავლება. ინგლისში სახალხო სკოლა ორნაირია: სკოლა მცირე წლოვანთათვის (7 წლამდის) და მოზრდილთათვის (7 14 წლ.) სკოლაში სიარული სავალდებულოა 5—13 წლამდის. მთავრობა დახმარებას უწევს სკოლებს მოსწავლეთა რიცხვისა და სწავლაში წარმატების მიხედვით. დაბალსა და საშუალო განათლებას შორის დიდი განსხვავება არ არის. ამ ჟამად ინგლისში მრავალი სახალხო სკოლა საშუალო განათლებას იძლევა. სახელმძღვანელოებისა და სწავლების მეთოდების არჩევაში ინგლისელი მასწავლებელი სრულიად თავისუფალია. ინსპექტორები სრულიად არ ერევიან სკოლების საშინაო წესებში, ისინი მხოლოდ სწავლების შედეგებს ადევნებენ თვალყურს. მასწავლებლებს ან სასკოლო კომიტეტი ან სკოლის დამფუძნებელი იწვევს და განსაზღვრულს ჯამაგირსაც უნიშნავს. მასწავლებელთა ცოდნებრივ განვითარების წესად მთავრობას შემოღებული აქვს, რომ სკოლა, რომელსაც დაწესებული ცენზის მასწავლებელი არ ეყოლება, ვერ მიიღებს სახელმწიფო დახმარებას. აგრეთვე სასკოლო შენობის არჩევის დროსაც მთავრობა ყურადღებას აქცევს და დახმარებას იძლევა იმ შემთხვევაში, თუ სასკოლო შენობისათვის საჭირო ჰიგიენიური პირობები იქნება დაცული. ყველა კერძო პირს და საზოგადოებას ნება აქვს მთავრობის დაუკითხავად და ნებადაურთველად გახსნას სახალხო სკოლა, მოიწვიოს როგორი მასწავლებელიც უნდა, სწავლებაც ისე მოაწყოს, რა მეთოდითაც ჰსურს. ამ ფართო კერძო ინიციატივის წყალობით სახალხო განათლების დარგში, ინგლისში სასკოლო საქმე ძლიერ მაღალ საფეხურზეა

საუკეთესო სკოლებად ინგლისში საზოგადოების ის სკოლები ითვლება, რომელთაც არჩეული სასკოლო კომიტეტები განაგებენ. საშუალო ჯამაგირი სახალხო სკოლის მასწავლებლისა მერყეობს 946—1419 მანეთს შუა.

(შემდეგი იქნება)

ლ. ბოცვაძე.

## საქართველოს დამოუკიდებლობა და რკინის გზის მთავარი კომიტეტი

I

სახელმწიფოს ცხოვრებაში რკინის გზა მიჩნეულია უდიდეს ფაქტორად ერის კულტურულ-ეკონომიურ ძალთა ზრდისა და საერთო აღორძინებისათვის. ქართველ ერს რკინის გზის შესახებ ზრუნვა და ფიქრი მთელი მე-XIX საუკუნის განმავლობაში ნაკლებად უხდებოდა, ვინაიდან სრულიად უცხო სახელმწიფოებრივი ძალა განაგებდა ამ საქმეს და ისიც მთელი საუკუნის სივრცეზე იმას სცდილობდა, რომ რკინის გზა გამოეყენებია მხოლოდ სტრატეგიული მიზნებისათვის და არ აწარმოებდა ამ გზის წესიერ ექსპლოატაციას. თუ, მიუხედავად ამისა, ქართველი ერი მაინც სჩიოდა რკინის გზების უქონლობას, ეს შეეხებოდა არა ამიერკავკასიის მთავარი მაგისტრალის ხელში ჩაგდებას, არამედ სცდილობდა სხვა და სხვა გზითა და საშუალებით მთავარ მაგისტრალიდან შემაერთებელ შტოების გაყვანა მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო, როცა ქართველი ერი დამოუკიდებელი გზით შეუდგა სარკინისგზო საქმის მოწყობას: ეს იყო ქართლის თავ დაზნაურობის მიერ კახეთის რკინის გზის გაყვანას. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ერს მე-XIX საუკუნის განმავლობაში რკინის გზის საქმეში გამოცდილება არ გააჩნდა, მას არ იკარებდნენ მართვა-გამგეობაში, მთელი საიდუმლოება და აპარატი მართველობისა ჩაბარებული ჰქონდა სახელმწიფო ძალის უცხო აგენტებს. შენიშნულია, რომ ქართველებს არ იკარებდნენ არც ერთ სხვა სახელმწიფო დაწესებულებაშიაც, მით-უმეტეს არ ჩააბარებდნენ მათ სახელმწიფოსათვის დიდი მნიშვნელობის სარკინისგზო უწყებას. ერთად-ერთი გამოსავალი ასეთ მდგომარეობიდან ის იყო, რომ ყველა დაბალი ადგილები რკინის გზის ლიანდაგზე მეისრიდან დაწყებული და ზევით ერთიანად ქართველებმა დაიჭირეს. „ყველა დაბალი ადგილები ლიანდაგზე, მაგრამ არც ერთი ადგილი სამართველოში ,—ასეთი იყო პოლიტიკა ძველი მმართველი ბიუროკრატიისა და ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ არც ერთი საპასუხისმგებლო ადგილი რევოლიუციამდე რკინის გზის სამართველოში ქართველს არ სჭერია.

ასე იყო წარსულში, ასე იყო იმ დროს, როცა ქართული ენის ხსენებაც კი არ შეიძლებოდა [illegible], როცა [illegible] და [illegible] მხოლოდ იმიტომ, რომ რუსია კავშირის წევრად ითვლებოდა, ლუკმა პურს შოულობდა რკინის გზის მართველობაში. ხოლო ადგილობრივი ელემენტი მოკლებული იყო ამ საშუალებას. მართველობიდან ქართველებს ერეკებოდნენ, სამაგიეროდ ლიანდაგისაკენ მიუთითებდნენ მათ და ეს იმიტომ, რომ მოძრაობის სამსახურში ლოთები ვერ გამოდგებოდნენ და ერთად ერთი ქართველები იყვნენ ამ მხრით საიმედონი და დასანდობარნი. ეს თვისება ქართველ მოხელეებისა რუსის ელემენტთან შედარებით დიდი ხანია რაც შენიშნულია და, სიმართლე უნდა ითქვას, ზოგი შორსმჭვრეტი ძველი ბიუროკრატიც კი მხედველობაში ღებულობდა ამ გარემოებას მოსამსახურეთა შტატის შედგენის დროს.

სულ სხვა პირობები მოექცა საქართველო და ქართველობა რევოლიუციის შემდეგ. კერძოდ რკინის გზის საქმეები საშინლად აწეწილ-დაწეწილი იყო ომიანობისა გამო და სწორედ ამ რთულ კრიტიკულ პირობებში მოუხდა ამიერკავკასიის მოსამსახურეთა კავშირის ორგანო —მთავარ კომიტეტს მუშაობა და საქმის მართვა-გამგეობის სათავეში ჩადგომა. არჩევითი წესების შემოღებამ და დემოკრატიული ლოზუნგების გადმოსროლამ მთელი ქართველობა შემოკრიბა ახალი ორგანოს გარშემო. რამდენად საგრძნობი იყო წინად ჩაგვრა და შევიწროება, იმდენად აღფრთოვანებით და თავდავიწყებით სწარმოებდა ძალების დარაზმვა და ძველის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოყვანა. ამ მხრით ქართველების ბრძოლამ და თავგამოდებამ ამიერკავკასიის რკინის გზაზე შედეგად ის მოგვცა, რომ უმაღლესი ორგანო—მთავარი კომიტეტი ერთიან ქართველი წევრებით გაივსო. კომიტეტის ქართული შემადგენლობა უმთავრესად ლიანდაგიდან არჩეულიბისაგან მოეწყო, ხოლო ეს გარემოება იმ თავითვე იწვევს ერთგვარ უნდობლობას ამ ორგანოსადმი მართველობის მოსამსახურეთა მხრით. მთავარ-კომიტეტის ქართველები (ერთიან მეშვეიკები) ამ უნდობლობას თავისებურ ახსნა-განმარტებას აძლევდნენ. უმთავრესი კი ის იყო, რომ მოხელეები საერთოდ თავისი სოციალური მდგომარეობით არა-რევოლიუციონურად არიან განწყობილნი, რომ ისინი ძველი წყობილების დროს შეადგენდნენ ქვა-კუთხედს ცნობილ პოლიტიკურ კურსის განსამტკიცებლად რკინის გზის უწყებაში და სხვა... ყველაფერი ეს მართალია იმდენად, რამდენად საქმე გვაქვს რუს მოხელეებთან, მაგრამ რა შუაშია აქ ქართული ელემენტი, რომელიც მოსამსახურეთა საერთო რიცხვის 10⁰/₀-ს არ აღემატებოდა. გარდა იმისა რომ ძველად ქართველობა მართველობაში უდიდეს ზნეობრივ ტანჯვას განიცდიდა ცნობილი რეჟიმის სიმკაცრისა გამო, ნივთიერადაც ყველაზე ნაკლებ იყო უზრუნველყოფილი. ამ მხრით რევოლიუციის შემდეგაც არ გამოკეთებულა მდგომარეობა. მუშა-ხელოსნების მიერ მართველობის მოსამსახურეთა დაჩრდილვამ ნივთიერ პირობების გაუმჯობესების საქმეში ქართველი მოსამსახურენიც იმსხვერპლა. საყურადღებოა შედარებითი ცხრილი უმთავრეს სახელოსნოს მუშა-ხელოსნების და მართველობის მოხელეთა ჯამაგირებისა. ეს ციფრი ჩვენ ნათლად დაგვანახვებდა, რომ მუშა-ხელოსნები დღევანდელ პირობებში სამჯერ მეტს ხელფასსა და ჯამაგირს იღებდენ სამართველოს მოხელეებთან შედარებით. დემოკრატიული ლოზუნგები და სხვა სათნო ცნებანი სამართველოს უბადრუკ მოხელეთათვის ფუჭი აღმოჩნდა. ისინი ძველებურადვე განიცდიან ჩაგვრასა და შევიწროებას: წინად ისინი იტანჯებოდნენ ბიუროკრატიის ბრჭყალებში, დღეს კი იჩაგრებიან უმრავლესობის ძალადობითა და დასტურით. ეს გარემოება რაგინდ მწვავე უნდა ყოფილიყო მდგომარეობა, მაინც არ აძლევდა საბაბს ქართველ მოხელეებს გადასდგომოდა რკინის გზის მთავარ ორგანოს და სხვა რუს რეაქციონურ ელემენტთან ერთად ეწარმოებინა მის წინააღმდეგ ფარული თუ აშკარა ბრძოლა. ასეთი პოზიცია ნათლად მოწმობს რკინის გზის სამართველოს ქართველ მოსამსახურეთა პოლიტიკურს გამჭრიახობას. თუ ამ ბრძოლის გამოცხადებისაგან ისინი თავს იკავებდნენ ეს აიხსნება იმ გარემოებით რომ რუსი მოხელეები ილაშქრებენ მთავარ კომიტეტის წინააღმდეგ ეროვნული

*) იხ. „ს. ს." № 304.

მოტივებით და სწადიათ სახელი გაუტეხონ ქართველების მუშაობას ამიერკავკასიის რკინის გზაზე. მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით სულ სხვა პირობები მყარდება და აქ უკვე შესაძლებელია საკითხი დავსვათ მთავარი კომიტეტის წარსულ მოღვაწეობის შესახებ. დღეს შესაძლებელია საკითხს პირდაპირ ეროვნულ—სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით შევხედოთ და ამ თვალსაზრისის მომარჯვებაში, დარწმუნებული ვართ, ჩვენთან იქნებიან არა თუ სამართველოს მოხელენი, არამედ მთელი კრიტიკულად მოაზროვნე ნაწილი ლიანდაგის მუშა—ხელოსნებისა და მოსამსახურეებისა. ამასთან საჭიროდ მიგვაჩნია საკითხს შევხოთ საქართველოს მასშტაბით და მთავარი კომიტეტის წარსულ მოღვაწეობის დაფასების დროს უმთავრესად აღვნიშნოთ ზოგი რამ ისეთი ზომები და განკარგულებანი, რომელნიც გარდა იმისა, რომ ცუდი ღირსებანი იყვნენ საერთო რკინის გზის ინტერესის გაგების მხრით სრულიად არ შეეფერებოდნენ ქართველთა ინტერესებს ამიერკავკასიის რკინის გზაზე და განსაკუთრებით კი სამშობლოში.

(შემდეგი იქნება).

გარეშე.

# ორი მკვლელობა

ივლისის 18-ს, ვორონცოვის ხიდზე მოჰკლეს მე-4 პოლკის პორუჩიკი ლენტო გაჩეჩილაძე, და დასჭრეს კაპიტანი სოხაძე.

აქვე მოჰკლეს ჯარისკაცი აკოფოვი და დაიჭრა ერთი უცნობი ჯარისკაცივე. 12 დღის შემდეგ მიხეილის პროსპექტზე მცხოვრები ქართული კლუბის მსახური ჰიჭიკო რუსაძე აგვისტოს 1-ს, გათენებისას ოთხმა თუ სამმა მილიციონერმა, თუ გვარდიის ტანისამოსში გამოწყობილთ ნაძალადევში გაიყვანეს და მოჰკლეს ოჯახით დატვირთული ადამიანი. ეს ცნობები თავის დროზე სამოთხ სტრიქონიან ამბად იყო მოთავსებული ჩვენს გაზეთში. საქმის სრული ვითარება კი ასეთი ყოფილა. ეგრედწოდებულ ხარფუხის კლუბში ლოტოზე კარტის გამყიდველად მსახურებდა მოკლულ ჰიჭიკო რუსაძის გერი ვ. გ—ლის ქალი 14—15 წლისა. ამავე კლუბში ბუღალტერის თანამდებობას ასრულებდა ამ ჟამად ტფილისის საშჭოს ხმოსანი, ტფილისის ხელზე მოსამსახურეთა და სხვა პროფესიონალურ კავშირის გამგეობის თავმჯდომარე კ. გ—ძე. მას დაუახლოვებია ჯერ ცხოვრებაში გამოუსვლელ გამოუცდელი ქალი ვერა კლუბის მამასახლისს ბ-ნ დუმბაძეს ჰ. რუსაძისათვის უთქვამს მოაშორეთ თქვენი ქალი კლუბს, რომ არავის მიეცეს საშუალება მისი ბავშური გამოუცდელობით ისარგებლოსო.

მშობლებს მალევე შეუსრულებიათ ბ-ნ დუმბაძის რჩევა და ქალი სამსახურიდან გაუყვანიათ. კ. გ—ძე ქალს არ მოშვებია, და ქალი რამდენიმე კვირით სადღაც გაუტაცნია. მშობლებს ქალისთვის ბორჯომში მიუგნიათ, წასულან და ისევ შინ დაუბრუნებიათ რომ შესაძლებელი უბედურება ქალს აშორებოდა, მშობლებს გადაუწყვეტიათი ქალი მე-4 პოლკის პორუჩიკ ლ. გაჩეჩილაძისათვის მიეთხოვებინათ. განსვენებულ ლენტის, როდესაც საქმის ვითარება გაუგია, განუცხადებია: არ ვიცი, რა უბედურება ჰქონია ჩემს საცოლეს, მაგრამ ურიგდები გარემოებასო.

ერთხელ რუსაძეს შეხვედრია კ. გ—ძე ვორონცოვის ხიდზე და არ ვიცით რა უფლების ძალით, მოუთხოვნია იარაღის ჩამოხსნა. რუსაძეს პროტესტი გამოუცხადებია: მე სოც. ფედერალისტების რაზმის წევრად ვითვლები, ნებართვა იარაღის ტარებისა პარტიისაგან მაქვს. კ. გ—ძეს იარაღის ტარების ნებართვა გაუშინჯავს და გესლიანად გაუკამათებია: აბა, რა პარტია უნდა იყოს ის, ვინც შენისთანა წევრებს ღებულობსო და ერთმანეთს განშორებიან. შინ დაბრუნებისას ჰიჭიკოს მოუმწუხარებია თავის სიძეს ლენტო გაჩეჩილაძესა და ოჯახობასთან: რა ვნა ღმერთმანი, გ—ძე არ მასვენებსო, შეურაცხყოფა მომაყენა, იარაღის ჩამოხსნა მომთხოვა და ჩემი პარტიაც გამილანძღაო

ამავე დღეს ვორონცოვის ხიდზევე სალამოთი პორუჩიკი ლენტო გაჩეჩილაძე სრულიად უიარაღოდ თავის კარგ საცნობ-მეგობარის კაპიტან სოხაძესთან ერთად მიხავალა აფიცერ ხოსბერიძეს თან ერთად, როგორც თავის ამხანაგის სანახავად. შემთხვევით გაჩეჩილაძეს შეხვედრია კ. გ—ძე თოფით შეიარაღებულ მის ამხანაგთან ერთად. გაჩეჩილაძეს გ—ძისთვის [illegible] რა უფლების ძალით

შეურაცხყოფთ ჩემს სიმამრს იარაღის ჩამოხსნის წინადადებითო აქ შელაპარაკების დროს რა მოხდა, ვერ გავიგეთ, მაგრამ შედეგად გამწარებულ გ—ძეს უძვრია რევოლვერი, ძმაც წამოშველებია თოფით და დაუხლიათ მათთვის. წინააღმდეგობის გაწევა არც სოხაძეს, არც გაჩეჩილაძეს არ შეეძლოთ, რადგანაც არც ერთს იარაღი არ ჰქონია. ეს მტკიცდება მითი, რომ დევივით ვაჟკაცს გაჩეჩილაძეს სასიკვდილო ჭრილობები ზურგიდან ჰქონდა თურმე მიღებული. მკლავში დაჭრილ გაჩეჩილაძეს ერთი კი შეუძახნია რათა მკლავო და წაქცეულა. დაჭრილი გაჩეჩილაძე გრძნობაზე აღარ მოსულა და სამი დღის შემდეგ გადაცვლილა.

ამის შემდეგ გადის 13 დღე. მიხეილის ქუჩაზე მიხეილის სახელობის საავადმყოფოს პირდაპირ სახლში მცხოვრების ჰიჭიკო რუსაძის ბინაზე გათენებისას ასე 4 საათზე მისულა 4 კაცი გვარდიელის ტანთსაცმელებით ორს ჰქონია ვინტოვკა, დანარჩენები რევოლვერებით ყოფილან შეიარაღებულნი. ჰიჭიკო რუსაძე კლუბიდან 4 ნახევარ საათზე დაბრუნებულა სახლში. უცნობები მეეზოვის სიტყვით ნაცნობები გამომდგარან ჰიჭიკოსი, სიცილით ხელი ხელში გაუყრიათ, რევოლვერები გაუშინჯავთ და ერთად წასულან, ჰიჭიკოსათვის უთქვამთ: ნაძალადევში ჩვენი ბიურო გიბარებსთ და უნდა წამოხვიდეთო. როდესაც ნაძალადევის თეატრს მიახლოვებიან, ნოე ადიეშვილის სახლთან ჰიჭიკოს უგრძვნია, რომ რაღაც უბედურება მოელოდა და ძლიერის პროტესტანტის ხმით შეუტევია: კაცო, სადღა მიგყავარ, მკვდარი კაცი ვარ, დაღლილი, მითხარით რა გინდათ ჩემგანო. ჩვენ ეს გვინდაო და ერთს რომ მისთვის რევოლვერი ჩამოუცლეჯია, დანარჩენებს დაუხლიათ რევოლვერები. 40 ტყვია დაუხლიათ ბოროტგანმზრახველებს რუსაძისათვის რომელიც იქვე უსულოდ დაცემული გათავებულა. მკვლელობის ადგილას ატეხილა სროლა ასე რომ მნახველების სიტყვით ამ ადგილს არა ნაკლებ 300 ტყვიისა გაუსროლიათ. ვინ არიან მკვლელები და რა კავშირი აქვს ამ მხეცურ ბოროტებას გაჩეჩილაძის მკვლელობასთან, ჩვენ ვერ შევგვიძლიან აქ რაიმეს თქმა, იმას კი ვიტყვით, რომ აღშფოთებული გრძნობა ასეთი მხეცური მოქმედებით უნდა იქნეს დაკმაყოფილებული სასტიკი გამოძიებით, ბოროტების აღმოჩენითა და მათი საველე სამხედრო სასამართლოს პასუხისგებაში მიცემით და გასამართლებითა.

აქვე არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ რომ როდესაც ძმანი გ—ძენი დაპატიმრებულ იყვნენ მე-8 სამილიციო კომისარის განკარგულებით ორი საათის შემდეგ მათ მოწერილობა მიიღეს მაღლიდან: წინადადებას გაძლევთ და სხვ. გ—ძე ჩვენთვის საჭირო კაცია და გაანთავისუფლეთო, რაც დაუყონებლივ იქნა შესრულებული.

პლატონი დიდად საყვარელია, მაგრამ ჭეშმარიტება მასზედ კიდევ უფრო უსაყვარლესი, თუ არ გნებავთ კანონიერებისა და სამართლიანობის გადმოყირავება ეს ბოროტება უნდა ყოველ მხრივ იქნეს გამუქებული, რომ ჩვენ უბრალო მომაკვდავმა მოქალაქეებმა ვიგრძნოთ, რომ კანონის წინაშე ყველანი პასუხისმგებელნი უნდა იყვნენ, მინისტრ პრეზიდენტი ისევე, როგორც ქართული კლუბის სამზარეულოს ქვაბის გამრეცხგამხეხელი.

—ჩელა—

# მცირე განმარტება

ბ ნო რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ გაზეთის მე № 303 მოთავსებულ მოწინავე წერილის შესახებ გთხოვთ შემდეგ განმარტებას დაუთმოთ ადგილი.

ნაციონალიზაცია სასურსათო საქმის სამინისტროში დიდი ხანია დაიწყო და მოკლე დროში ის დასრულდება. ორი ნაწილი საპასუხისმგებლო თანამდებობათა უკვე ქართველებს ჩაჰბარდა. თუ უცბად ნაციონალიზაცია არ იქნა სამინისტროში განხორციელებული, მხოლოდ ერთი მოსაზრებით. რთული სასურსათო საქმე არ დაბრკოლებულიყო გამოცდილ პირთა ერთბაშად სამინისტროდგან გარეკით. არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი გარემოება. სახელდობრ ის, რომ მოხელეთა მხრივ სასურსათო სამინისტრო განსაკუთრებულ პირობებში იმყოფება: ეს სამინისტრო შექმნილი ყოფილ Общекавказская Краевая Продовольственная Управისგან თითქმის მხოლოდ უცხო ტომის პირებისაგან შესდგებოდა, როდესაც საქართველოს მთავრობამ ჩაიბარა, რამაც სამინისტროს გაეროვნების პროცესზე თავისი გავლენა მოახდინა და ეს პროცესი შედარებით ზოგიერთ სამინისტროებთან და აგვიანა. მაგრამ ვიმეორებ, ნაციონალ. უკვე დაწყებულია და ვცდილობთ დავასრულოთ არა უგვიანეს, ვიდრე სხვა სამინისტროში. რაც შეეხება სამინისტროს მოქმედების გეგმას, ის დიდი ხანია წარედგინა მთავრობის თავმჯდომარეს, რაც თავის დროზე აღნიშნული იყო ადგილობრივ გაზეთებში, და აგრეთვე, თუ არ ვცდები, თქვენს პატივცემულ გაზეთის ფურცლებზედაც.

გზათა მიმოსვლის და სასურსათო საქმის მინისტრის ამხანაგი

პ. საბაშვილი.

P. S. რამოდენიმე სიტყვა სამინისტროს ზოგიერთ მოსამსახურეების ბოროტმოქმედების შესახებ: ორი საპასუხისმგებლო თანამდებობის პირი დროებით სამსახურიდან გადაყენებული არიან და მათ მოქმედების შესახებ დანიშნულია გამოძიება სახელმწიფო კანტროლის წარმომადგენლის მონაწილეობით. პ. ს.

# მოწერილი ამბავი

(დასასრული)

**ახბულალი.** გართულებულ საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობისა გამო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება აუცილებელი შეიქმნა. ამის შემდეგ საქართველოს მტერთა რიცხვმა ერთი ათად იმატა, მათ ბანაკს მიემატნენ ახალ მოდის ვითომდა „სოციალისტები“ და უსირცხვოდ შეუდგნენ ჩვენ საწინაამდეგო მუხანათურ მოქმედებას. არც ახბულალში მოკალათებული მტრები ჩამორჩნენ თავიანთ ტფილისელ ბელადებს და ბევრში კიდევაც გადააჭარბეს მათ. მათ მოქმედებას ხელმძღვანელობენ უადგილოდ დარჩენილი ოფიცრები. ეს ვაჟბატონები ძველ „ნეტარ“ დროიდან მოწყობილან აქ და რასაკვირველია მათ უმძიმთ ერთბაშად გამოთხოვება იმ უპირატესობისა, რომელსაც ანიჭებდა „მეფე-ბატიუშკის“ მთავრობა. გუშინდელი მონა, ყოველგან და ყველასაგან დაბეჩავებული ქართველი „კაცი“, დღეს სრულ უფლებიან მოქალაქეს წარმოადგენს და ამას განა შეურიგდება გალაღებული მფლობელი ველიკოროსი? ამიტომაც არის, რომ მას გარდა რუსულისა არა სწამსრა და ყოველ ქართულს ირონიით იხსენიებს. ჩვენ რესპუბლიკის მთავრობას ყოველ ფეხის გადადგმაზე ცუდად იხსენებენ და აქაურ ყმაწვილობას სიმღერაც კი გამოუგონიათ, რომელშიდაც ჩვენ პოლიტიკურ პარტიების ლიდერებს გუნდრუკს უკმევენ. დრო არის ამ ხულიგანთა თარეშს ბოლო მოეღოს, თორემ ასეთი უპასუხისმგებლობა მათ მეტ სითამამეს და თავგასულობას მატებს.

ასეთი მივარდნილი და გაუნათლებელი მხარე, როგორიც ახბულალია თავისი გარშემო მდებარე სოფლებით, ყოველგვარ პროვოკაციისათვის საუცხოვო მასალას წარმოადგენს და ამიტომ მთავრობის ვალია მოხედოს ამ მხარეს, ჯერ კიდევ სანამ ბლომად არ მოსკდებია აქაურობას სხვა პოზიციებზედ დამარცხებულ მტერთა მეთაურები. ჰაერი აქეთ დამძიმებულია და მეხის გავარდნას ნუღარ მოუცდით. აქ არავითარი რეალური ძალა არ მოეპოვება მთავრობას თუ არ მივიღებთ მხედველობაში მე-6 ქართული პოლკის 30 დე ოფიცრებს და ამის გამო მთელი მხარე ღვთის ანაბარა არის მიტოვებული. ან კი რა მოეთხოვება უჯარისკაცო პოლკს. დღეს რომელსამე სამხედრო ერთეულში თუ მოიპოვება ჯარისკაცები, ეს მეტ წილად შეგნებულნი არიან და ესმით სამშობლოს წინაშე თუ როგორ უნდა მოიხადონ ვალი. ამ მივარდნილ და მიყრუებულ ადგილს, როგორიც ახბულალია, ყველა შეგნებული ჯარისკაცი კი გაურბის და სამხედრო ბეგარას იხდის კულტურულ ცენტრების მახლობლად. მართლაც რომ ცოტად თუ ბევრად ინტელიგენტ ადამიანს უძნელს აქ ცხოვრება; ფოსტა მოდის ორ სამ დღეში ერთხელ და ისიც მეტ წილად ნახევრობა გაზეთებისა გზაში რაღაცა მანქანების წყალობით ბოროტ ხელს გადაყვება ხოლმე... ასე რომ აქ მდგომ პოლკს ტყუილა იმედი ნუ ექნება და შეგნებულ ელემენტებს ნუ მოელის, მით უმეტეს რომ დღეს სურვილზედ არის სამსახური—სად ვის ნებავს, რამდენი ხნით და რა პირობებში.

ჯერ ხალხი ბრძანებას არის დაჩვეული და არც ფიცავენ, ხშირად გაიგონია: ის რა მთავრობა არის, რომ მეხვეწება და „ამხანაგობით“ მოგვმართავს; გვიბრძანოს და ძალა დაატანოს ურჩსაო მთავრობამ ცოტა შეგნებული ძალების შემწეობით დღემდის მაინც სამშობლო გადაარჩინა ყოველ მხრიდან მოხლვევებულ მტერთა ხროვისაგან და თან და თან იმაგრებს ახალ პოზიციებს. ასე რომ უიმედობას ჩვენში ნიადაგი სრულებით ესპობა. იმედია, იგი არ დაივიწყებს ასეთ მნიშვნელოვან მხარეს, როგორიც ახბულახი არის...

მშვიდობიანობის მონატრული მოქალაქენი დაჟინებით მოითხოვენ, რომ ყველა ბოროტების წინააღმდეგ აღიმაღლოს ხმა მიუდგომელმა სამართალმა და სასტიკმა სასჯელმა. მოგვეცით სამართალი და სასჯელი..

თუმცა წერილი მიგძელდება, მაგრამ მსურს მკითხველს გაუზიარო ორიოდე სიტყვით ახლად დანიშნული რაიონის კომისრის ბ. ყდენტის მოქმედება. ეს ადამიანი მოსვლისათანავე შეუდგა ყოველ ბოროტმოქმედის ალაგმას, ყოველ ზომას მიმართა. მაგრამ ამ ხალხში ერთი კაცი ორ ნახევარი მილიციონერის თანადასწრებით განა გახდება რამეს რაც გინდ ზენა ადამიანური ენერგია და საქმის სიყვარული ჰქონდეს? მან მოკლე წარსულში საეჭვო პირების სახლები გაჩხრიკა და თითქმის ყველას აღმოაჩნდა სახაზინო 6 ვთი და თოფი (ვინტოვკა). ეს იწყინეს თავისუფალმა მოქალაქეებმა. ასეთი „შეურაცყოფისათვის“ ივლისის 18-ს კომისარიატს შემოერტყა შეიარაღებული ბრბო და კომისარს ერთი ამბავი დაუწია—რაღაცა „საქართველოს რესპუბლიკის“ მიერ დანიშნულმა როგორ გაბედე მყუდრო ცხოვრების დარღვევაო. ვერავითარმა მუდარამ ბოროტთა კრება ვერ დაშალა. ბოლოს კომისარიატს დემონსტრატიულად „ხოლპი“ მისცეს, თვით კომისარი დასჭრეს და დაიმალნენ სიმღერით. ბ. კომისრის გონივრულ მოქმედებას უნდა მიეწეროს, რომ ჯერ ამით გათავდა და უდანაშაულოთა მსხვერპლი არ იყო იმ დღეს. ეს ცნობა, უმაღლეს მთავრობამდისაც მიაღწევდა, მაგრამ დღემდის არავითარი პასუხი არ მოსთხოვეს ამ თავგასულთა მოქმედებას. თუ ამ გამოსვლამაც კიდევ დაუსჯელად ჩაიარა, ახლო მომავალში უარესის მოწმენი შევიქნებით. ამ საბრალოებს ვიღაცანი მეტად აბრიყვებენ: ხან მიხეილს, ხან ალექსის, ხან ისევ ნიკოლოზს გაუცოცხლებენ და ტახტზე დაუსვამენ. ესენიც მოლოდინში მყოფნი დაბეჯითებით გაიძახიან: ჩვენ რუსული იარაღი გვაქვს და რუსული მთავრობა რომ დადგება, იმას ჩავაბარებთ ისევეო. თუ ამ კილოზედ კიდევ ცოტა ხანი ალაპარაკეს ესენი, მერე რბილში გაუჯდებათ ეს სულელური აზრი და მეტი ძალა იქნება საჭირო მათ ჭკუის სასწავლებლად... ისმინეთ ვისიც ჯერ არს, მოხედეთ ახბულალს, გამოიკვლიეთ ყველაფერი ის უსამართლობა და ძალადობა, რასაც ადგილი ჰქონდა აქ წარსულ ხანებში და შესაფერისი სასჯელი დასდევით დამნაშავეთ, დროზედ გაკვეთეთ დაგროვებული იარა, რომ სნეულება სად ნაწილებშიაც არ გადავიდეს.

ჯვარი-ეწერელი მღვდელი.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.


**მიწა** იყიდება 74 კვ. საჟენი ახალ ახალშენში, ქალაქის წყალსადენის ახლოს. იკითხეთ სახლის პატრონ ფადეევთან ან სახელმწიფო ბანკში რუფთან. 855

**განცხადება** საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოდ რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობების გამო აგვისტოს 10 დან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგნაირად.

ტფილისიდან გავა:

| | | | საათ. | წ. |
|---|---|---|---|---|
| ფოთისკენ | № 23 | დილის | 7 | 50 |
| „ | № 3 | ღამის | 10 | 30 |
| ქუთაისისკენ | № 9/10 | სალამ. | 7 | 17 |
| განჯისკენ | № 4 | ღამის | 11 | 10 |
| „ | № 8 | დღის | 3 | 35 |
| სანაინისკენ | № 4/3c | დღის | 1 | — |

ტფილისში მოვა:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფოთიდან | № 24 | შუადღ. | 12 | 47 |
| „ | № 4 | სალამ. | 6 | 54 |
| ქუთაისიდან | № 11/12 | დილის | 6 | 53 |
| განჯიდან | № 3 | სალამ. | 4 | 30 |
| „ | № 7 | დღის | 8 | 30 |
| სანაინიდან | № 4c/3 | დილის | 11 | — |

ტფილისის დროით.

**ექიმი** ი. ი. ბერიშვილი დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილ თ 9—12 ს. და სალ. მოთი 5—8 ს. ქალების მიღებმ 12—1 ს. კვირობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის ყესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 8. 450.

ქუთაისში

**ექიმი** გ. ძორძაშვილი დაბრუნდა და განაახლა თვალის ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს., სალამოთი 5—6 ს. ძველი ტფილისის და ოლდენბურგის ქუჩების კუთხე. 851

**ქუთაისში** მიხეილის ქუჩაზე წითელ ხიდთან. ქირურგიული და ქალთა სნეულების საავადმყოფო [illegible] 348

**ექიმი** ი. კ. აბაკელია შინაგანი ავად[illegible] მყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვების, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა სალამოს $4^1/_2$—6 საათამდე. [illegible] რე დიდის ქუჩა № 26.

**ექიმი** დ. შარაშანიძე იღებს [illegible] დღე შინაგან და ბავშთა [illegible] ლებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს. [illegible] სამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის [illegible] № 7. 2

**ექიმი** ვ. მუხელიშვილი იღებს ავა[illegible] მყოფთ დილის 12—2 საათ. [illegible] როლანოვის ქ. № 6.

**ექიმი** ქმილისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

**ექიმი** ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე სალამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 426

**ექიმი** კ. ტყეშელაშვილი ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სახქესე მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914) შეშხაპუნება). სალამოობით $5^1/_2$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

**ექიმი** დ. ვ. ჯავახიშვილი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა სალამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფ. 14—09. 1032

**ექიმი** პავლე არდაზიანი დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და სალ. 4—5 ს. მელიქოვის ქ. 12, ყ უბანი. 1002

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე სალამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

კერძო მიხეილის სამკურნალო მუდმივი ლოგინებით.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167. 747

**ექიმი** ი. დ. ჯაფარიძე შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. სალამოს 5—7 ს მადათოვის ქ. № 7 ტელეფონი 17—49. 1153

**ექიმი** ვ. ლ. შალამბერიძე იღებს ხა[illegible] ბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, სალამოს 5—7 ს. მისამართი პეტროვრადის ქ. № 7. 10[illegible]

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა ნ. ლ. ტურიაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12 შუადღ. და 4—5 სალ. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმზოვ[illegible] აფთიაქის გვერდით.

თვალის სამკურნალო მუდმივი სა[illegible]ლით ექიმ დონხინისა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და სალამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (ამოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმ ნავახარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:

„606“ და „914“ 11—12 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.).

ე. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.

ბ. გ. აგახაროვი: $9^1/_2$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^1/_2$ ს.

მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ხ. გ. ავეტისიანი—9—11 საკუთარი ბავშვთა ავადმყ.

ი. ი. ტერ-გრიგორიანცი: 1—2 ს. შინაგანი.

სალამოთი:

ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყოფობანი და ქირურგიული.

რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 10